Silknet JSC Digitally signed by Silknet JSC Date: 2020.05.19 12:18:27 +04'00'

**შეთანხმების აქტი**

ქ. თბილისი

ერთი მხრივა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (ს/კ 237978453), მისიუფროსის, ნაზიბროლა გავაშელის სახით და მეორემხრივ, სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978),წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №225 განკარგულების, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების (2020 წლის 25 მარტის ოქმი N6)შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომმხარეთა შორის2018 წლის-01 მარტიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვებისშესახებ (CON170000115) №3 ხელშეკრულება გაგრძელდეს ამავე ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 50(ორმოცდაათი) ლარი.

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 01 მარტიდან 2020-2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან/და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“;

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

**„10. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა**

ხელშეკრულებაძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 1 აგვისტომდე.“

სახელმწიფო შესყიდვის შესახებზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილიათანაბარი იურიდიული ძალის მქონეორ იდენტურ ეგზემპლიარადქართულ ენაზედა წარმოადგენს მხარეთა შორის2018 წლის 01მარტსდადებული სახელმწიფოშესყიდვის შესახებ(CON170000115)№3ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი | კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი |
| ნაზიბროლა გავაშელი | მალხაზ ჟორჟიკაშვილი |
| ________________________ | ________________________ |